11/06/2024

MES 9 24 0000646174

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2024 წლის 28 მაისს 14:00 საათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Time: May 28, 2024 02:00 PM Tbilisi
Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=86401844927
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

ნინო ბაბალაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე);
გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს წევრი);
მარიამ ქუჩულორია - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
მარიკა ზაქარეიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის - ,,კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი (საბჭოს მდივანი);
მარიამ ნოზაძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
ნათია კვიციანი - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი კოორდინატორი (საბჭოს წევრი);

ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი (საბჭოს წევრი);
თეა გულუა - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
სალომე სანაია - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
სალომე ქუთათელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დაწესებულების წარმომადგენელი:

ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლა
ვახტანგ ბერიძე - დირექტორი
ლიკა მკურნალიძე - „საქმისმწარმოებლის“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი
ირაკლი ძნელაძე - „ფოტოგრაფიის“ პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი
მანანა კობალაძე - „ქართული ეროვნული სამოსი და მისი სასცენო გადაწყვეტის“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი

სსიპ კოლეჯი ქართლი
ხათუნა ლობჟანიძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ჯონი (ჯემალ) ხაჩიძე - სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი
ვლადიმერ სილაგაძე - ეროვნული სატყეო სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონალური სამსახურის უფროსი მეტყევე, „ხე-ტყის დამზადება და ტყის დაცვის სამუშაოების" პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი

პროფესიულიმომზადებისპროგრამებისადაპროფესიულიგადამზადებისპროგრამების დარგის ე ქსპერტები:
მანანა მახარაშვილი
ხათუნა ფარეიშვილი
ერეკლე სიგუა
ნათია გიგაშვილი
ირმა ღარიბაშვილი
მაია ხურცილავა
ვალერი ჯაჯანიძე

საბჭოს სხდომა დაიწყო 12:05 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:
1. ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის „საქმისმწარმოებელი“ /01920/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

2. ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის „ქართული ეროვნული სამოსი და მისი სასცენო გადაწყვეტა“ /01922/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის „ფოტოგრაფია“ /01921/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

4. სსიპ კოლეჯ „ქართლის“ „ხე-ტყის დამზადება და ტყის დაცვის სამუშაოები“ /01928/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

5. სსიპ კოლეჯ „ქართლის“ „სანტექნიკური სამუშაოები“ /01907/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

6. სსიპ კოლეჯ „ქართლის“ „საავტომობილო შიდაწვის ძრავების კვების სისტემის სერვისი“ /01875/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

7. სსიპ კოლეჯ „ქართლის“ „კომპიუტერის ქსელური და პროგრამული მხარდაჭერა“ /01876/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

8. სსიპ კოლეჯ „ქართლის“ „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები და კომპიუტერული პროგრამა Oris“ /01877/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს სხდომა გაიმართა დღის წესრიგის მიხედვით.

1. ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის „საქმისმწარმოებელი“ /01920/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა მანანა მახარაშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 19 აპრილის №447050 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა, მანანა მახარაშვილმა განახორციელეს ვიზიტი, ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლაში (მის: ბათუმი, გალაქტიონ ტაბიძის ქ. № 11) ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა, პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,საქმისმწარმოებელი'' განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა რეკომენდაციები 1.2 და 1.6 ქვესტანდარტთან მიმართებაში

ქვესტანდარტი 1.2 პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს

პროგრამის დოკუმენტში იურიდიულ პირს „საქმისმწარმოებლის” პროგრამის ინგლისურენოვან სახელწოდებად განსაზღვრული აქვს „Business Manager”. პროგრამის შინაარსის, სწავლის შედეგების, ქართული სახელწოდების, ასევე, დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის კვალიფიკაციის დონეებისა და ჯგუფების (ძირითადად მე-4 ჯგუფი: 4120, 4131, 4132 ასევე 3343, 3341, 4415, 4190) გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, პროგრამის ინგლისურენოვან სახელწოდებად განისაზღვროს ,,Document manajer'' ან “Documentation manager” - დოკუმენტ(ებ)ის მმართველი/მწარმოებელი.

ქვესტანდარტი 1.6 პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით

მიზანშეწონილია მცირე კორექტირება შევიდეს პირველი, მე-2 და მე-3 სწავლის შედეგების ფორმულირებაში და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: 1. საქმისწარმოების ზოგადი წესების გაცნობა; 2.კორესპონდენციის წარმოების ზოგადი წესების გაცნობა; 3. მმართველობითი დოკუმენტების წარმოება.

აღნიშნული ცვლილება უზრუნველყოფს რომ, ყველა სწავლის შედეგში იყოს ფორმულირებული მისაღწევი ცოდნა-გაცნობიერება და უნარები.
აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლა საქმიანობს 1957 წლიდან. 2010 წლიდან „აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაქვემდებარებაშია და მიენიჭა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სტატუსი. სკოლა ახორციელებს პროფესიული მოზადების/გადამზადების პროგრამებს - ქორეოგრაფიული საშემსრულებლო ხელოვნება; ქართული ხალხური მუსიკა; ტრადიციული რეწვა არაფორმალურად.
2022 წლიდან სკოლამ მოიპოვა უფლება პროფესიულ მომზადება/გადამზადების პროგრამების, კერძოდ კულტურული ღონისძიებების ორგანიზატორი"; ქართული ხალხური ცეკვის რეპეტიტორ-ქორეოგრაფი";
„ქართული ხალხური სიმღერის რეპეტიტორი"; „ქორეოგრაფიული ანსამბლის მოცეკვავე-მსახიობი"; „თექის ნაწარმის და აქსესუარების დამზადება"; „ბიბლიოთეკარი". „ქორეოგრაფიული ანსამბლის აკომპანიატორ-მსახიობი“. ამ ეტაპზე სწავლობს 85 პირი; 2022-2023 წელს სკოლა დაასრულა 136 მსმენელმა. დასაქმების საერთო მაჩვენებელი - 70%-80% .
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონედ დაწესებულებას განსაზღვრული ჰქონდა - მეხუთე; საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად ელექტრონული განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენისათვის, ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვადის შემდეგ, ცენტრი 5 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამით განსაზღვრული დონის შესაბამისობას ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონესთან. ცენტრმა განსაზღვრულ ვადაში შეამოწმა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამით განსაზღვრული დონის შესაბამისობა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონესთან. თუმცა ვიზიტის დროს, დარგის ექსპერტის მიერ პროგრამის დონედ განისაზღვრა - მეოთხე, რადგან პროფესიული მომზადების პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების, მიზნის, თემატიკისა და აღწერილობის გათვალისწინებით სწავლის შედეგებში წარმოდგენილი კომპეტენციები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-4 დონეს.
პროგრამის ხანგრძლივობა - 16 კვირა; სწავლების ენა - ქართული; მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15; პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. ბათუმი, გალაქტიონ ტაბიძის ქ. 11.
აღნიშნულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება პროფესიის მოსინჯვით.
პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და ბმაშია პროგრამის სახელწოდებასთან და თემატიკასთან.
აღნიშნული პროგრამა 5 სწავლის შედეგს მოიცავს, პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით.
სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, აღნიშნული პროგრამის 80% ეთმობა პრაქტიკულ კომპონენტს.
მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას, განმსაზღვრელი შეფასება გათვალისწინებულია ყოველი სწავლის შედეგის დასრულებისას (მე-3, მე-4, მე-8, მე-13, მე-16 კვირაში).

დარგის ექსპერტმა ისაუბრა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსთან დაკაშირებით, მან აღნიშნა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 2 განმახორციელებელი პირი, რომელთა კვალიფიკაცია დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით.

სასწავლო გარემოები აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსით. წარმოდგენილი სასწავლო რესურსი ფარავს ყველა სწავლის შედეგს და ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისთვის, მორგებულია მათ საჭიროებებზე.
სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის პრევენციისა და რეაგირების სამმართველოს ინსპექტირების აქტით.
მესამე სტანდარტთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია, კერძოდ სკოლა აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან; უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას ვებგვერდის, სოციალური ქსელის, მედიის და სხვადასხვა აქტივობების მეშვეობით; იყენებს საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს; სკოლა გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს სერტიფიკატს.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილ იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნინო ბაბალაშვილმა, დარგის ექსპერტს, მანანა მახარაშვილს მადლობა გადაუხადა ამომწურავი პრეზენტაციისთვის და მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რამდენად ეთანხმებოდა ექსპერტის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს და თუ აპირებდა რეკომენდაციების გათვალისწინებას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ, მისთვის ვიზიტის დროს უკვე ცნობილი იყო ზემოთაღნიშნული რეკომენდაციები და ადგილზე მოხდა შეთანხმება, რომ გაითვალისწინებდა, დაწესებულების წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ პროფესიული გადამზადების პროგრამის ინგლისურენოვანი სახელწოდება ჩამოყალიბდებოდა შემდეგნაირად - „Document manajer'' (დოკუმენტის მენეჯერი).

საბჭოს თავმჯდომარემ განუმარტა დაწესებულების ხელმძღვანელს, რომ ინგლისურ ენოვანი სახელწოდების შეცვლასთან დაკავშირებით დაწესებულებამ ცენტრში უნდა გამოაგზავნოს პროგრამა, ინგლისურენოვანი სახელწოდების შეცვლასთან დაკავშირებით.

ამის შემდეგ, საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის „საქმისმწარმოებელი“ /01920/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული

პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლას (ს/კ: 445391736) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - საქმისმწარმოებელი /01920/ **(დანართი 1)**.

2. ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის „ქართული ეროვნული სამოსი და მისი სასცენო გადაწყვეტა“ /01922/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ხათუნა ფარეიშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 19 აპრილის №447049 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა, ხათუნა ფარეიშვილმა განახორციელეს ვიზიტი, ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლაში (მის: ბათუმი, გალაქტიონ ტაბიძის ქ. № 11) ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა, პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,ქართული ეროვნული სამოსი და მისი სასცენო გადაწყვეტა'' განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, რეკომენდაციები არ გაცემულა.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მეოთხე; პროგრამის ხანგრძლივობა - 25 კვირა; სწავლების ენა - ქართული; მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 10; პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. ბათუმი, გალაქტიონ ტაბიძის ქ. 11.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით მან აღნიშა, რომ ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლამ წარმოადგენა დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის მიერ პროფესიული გადამზადების პროგრამის „ქართული ეროვნული სამოსი და მისი სასცენო გადაწყვეტა“ საჭიროების გამოვლენისთვის განხორციელებული კვლევის ანგარიშები.

აღნიშნული კვლევის ფარგლებში სკოლამ გამოავლინა, რომ, აჭარაში არსებული სამი სახელმწიფო აკადემიური, ათი მუნიციპალური და 100 ზე მეტი საბავშვო ანსამბლი, მუდმივად საჭიროებენ ახალი სასცენო სამოსის შეკერვას, რაც მნიშვნელოვანი გამოწვევაა რეგიონისთვის. პრობლემაა კვალიფიციური კადრების ნაკლოვანება. ეროვნული სასცენო სამოსი მიეკუთვნება ეროვნული მემკვიდრეობის საგანძურს, შესაბამისად, მისი შემქმნელი კარგად უნდა იცნობდეს კოსტუმის განვითარების ევოლუციას. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული იყო აჭარაში არსებული სამი აკადემიური და 10 მუნიციპალური ანსამბლი, საშემსრულებლო ხელოვნების ორგანიზაციების (თეატრები, მუსიკალური ცენტრები) ხელმძღვანელები, მასზედ რომ დამსაქმებლების საჭიროების მიხედვით შექმნილიყო პროგრამა.

წარმოდგენილი პროფესიული გადამზადების პროგრამის სახელწოდება გამომდინარეობს პროგრამის შედეგებიდან და თემატიკიდან. პროგრამის სწავლის შედეგები და პროგრამის სახელწოდება თანხვედრაშია, არ არის დამაბნეველი და შეცდომაში შემყვანი.

მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროგრამაზე აპლიკანტთა დაშვების წინაპირობებია - საბაზო განათლება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა - გასაუბრება-პროფესიის მოსინჯვის მეთოდით. ასევე აპლიკანტმა უნდა იცოდეს კერვის საფუძვლები.

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით.

პროგრამის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღინიშნა, რომ პროგრამის ხანგრძლივობაა 25 კვირა, კვირეული საათობრივი დატვირთვა - 10 საათი, ჯამში - 250 საათი. პროგრამის პირველი და მეორე სასწავლო კვირა თეორიულ კომპონენტის სწავლებას ეთმობა, ხოლო მომდევნო სასწავლო კვირეებში ისწავლება პრაქტიკული კომპონენტი.

სასწავლო პროცესში გამოყენებული სწავლების სხვადასხვა მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, პროფესიული გადამზადების პროგრამა მოიცავს თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის სწავლებას. პრაქტიკული კომპონენტის სწავლება პროგრამის დაახლოებით 80%-ს მოიცავს. დაწესებულებას პროგრამის სწავლებისთვის განსაზღვრული აქვს A და C სასწავლო გარემო, რომლებიც აღჭურვილია პროგრამის სწავლებისთვის ყველა საჭირო მატერიალური რესურსით.

პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 2 განმახორციელებელი პირი, რომელთა ცოდნა, უნარები და კვალიფიკაცია დადასტურებულია შესაბამისი განათლების, კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციით, ასევე მათთან გასაუბრებით.

პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, სკოლის მიერ მსმენელთა მოთხოვნილი რაოდენობაა - 10. ვიზიტის დროს გადამოწმდა პროფესიული მომზადების პროგრამის სწავლებისთვის გამოყოფილი A-C სასწავლო გარემო, რომელიც აღჭურვილია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კომპონენტის სწავლებისთვის ყველა საჭირო მატერიალური რესურსით, ათი მსმენელისთვის.

წარმოდგენილი სასწავლო რესურსები ფარავს პროგრამის ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე.

რაც შეეხება მესამე სტანდარტს, ანალოგიურად შეფასდა, ვინაიდან აღნიშნული პროგრამაც წარმოდგენილი იქნა ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის მიერ.

პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილ იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს ამომწურავი პრეზენტაციისთვის და აღნიშნა, რომ განსაკუთრებული პროგრამაა და სასიხარულოა, რომ არ იკარგება ძველი ტრადიცია, ცოდნა და უნარები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის „ქართული ეროვნული სამოსი და მისი სასცენო გადაწყვეტა“ /01922/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლას (ს/კ: 445391736) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - ქართული ეროვნული სამოსი და მისი სასცენო გადაწყვეტა /01922/ **(დანართი 2)**.

3. ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის „ფოტოგრაფია“ /01921/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს სხდომაზე საკითხი წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა, სალომე ქუთათელაძემ, რადგან დარგის ექსპერტი ტექნიკური ხარვეზის გამო ვერ ჩაერთო საბჭოს სხდომას.

სალომე ქუთათელაძემ განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 19 აპრილის №447052 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა, ერეკლე სიგუამ განახორციელეს ვიზიტი, ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლაში (მის: ბათუმი, გალაქტიონ ტაბიძის ქ. № 11) ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა, პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ფოტოგრაფია'' განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.
ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა რეკომენდაცია 2.1 ქვესტანდარტთან მიმართებაში.

ქვესტანდარტი 2.1. პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით

პროგრამის განხორციელებისთვის სკოლას განსაზღვრული ჰყავს ერთი განმახორციელებელი პირი, თუმცა, მიზანშეწონილია, რომ პროგრამის განხორციელების მდგრადობისთვის პროგრამას ჰყავდეს მე-2
განმახორციელებელი პირი. ამასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ჰყავს კანდიდატურა, რომელთანაც ჰქონდა სატელეფონო კომუნიკაცია და მან გამოთქვა მზაობა პროგრამის განხორციელებაში მიიღოს მონაწილეობა, თუმცა ამჟამად არ იმყოფება საქართველოში და ამიტომ ვერ მოხდა მასთან ხელშეკრულების გაფორმება. ამდენად, მიზანშეწონილია, პროგრამის გამოცხადებამდე დაემატოს პროგრამას მე-2 განმახორციელებელი პირი და აიტვირთოს ელ. სისტემაში.
სალომე ქუთათელაძემ მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მე-4, პროგრამის ხანგრძლივობა - 16 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 10, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. ბათუმი, გალაქტიონ ტაბიძის ქ. 11.
პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ პროფესიული მომზადების პროგრამის საჭიროების კვლევისათვის სკოლამ გამოიყენა საიტები, სადაც დამსაქმებლები ანთავსებენ ვაკანსიებს, სადაც ხდება აღწერა, თუ რა ცოდნისა და უნარების თანამშრომლებს ეძებენ, ზეპირი გამოკითხვა კერძო და საჯარო უწყებებში, ასევე, სკოლის გვერდზე განთავსდა ინფორმაცია პროგრამების შესახებ, სადაც იკვლევდნენ თუ რომელი პროგრამის შესწავლას ისურვებდნენ და რამდენად მოთხოვნადია აღნიშნული პროფესიების შესწავლა.
დასაბუთების დოკუმენტის მიხედვით, როგორც ცნობილია, აჭარა არის ტურისტული რეგიონი, სადაც წელიწადის ოთხივე სეზონზე შეინიშნება სხვადასხვა ტიპის აქტივობები, აქ არსებულ ყველა ორგანიზაციას, როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში ესაჭიროება მაღალი კვალიფიკაციის ფოტოგრაფი, რომელიც მაღალი ხარისხით, პროფესიონალურად გადაიღებს ფოტოს და დაამუშავებს სხადასხვა ტიპის პიარ - ღონისძიებისათვის.
კვლევებმა აჩვენა, რომ ფოტოგრაფიის მიმართულებით მოთხოვნილება დასაქმების ბაზარზე არის და სკოლის მიერ პროგრამების განხორციელების შემთხვევაში, კურსდამთავრებულებს ექნებათ დასაქმების საშუალება.
პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამის სწავლის შედეგები და პროგრამის სახელწოდება თანხვედრაშია, არ არის შეცდომაში შემყვანი. მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება პროფესიის მოსინჯვის მეთოდით. პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით, პროგრამა ითვალისწინებს 4

სწავლის შედეგის მიღწევას, აღნიშნული პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევით მსმენელი მიიღებს საქმიანობის სფეროს შესაბამის თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას.
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია, პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობაა 16 კვირა, კვირეული საათობრივი დატვირთვა - 15 საათი, ჯამში- 240 საათი.
პროგრამაზე სწავლა შეუძლია საბაზო და სრული ზოგადი განათლების მქონე ყველა დაინტერესებულ პირს, რომელსაც აქვს სურვილი მოკლე დროში მიიღოს კონკრეტული ცოდნა/უნარები, ფოტოხელოვნების მიმართულებით, რომელიც მოიცავს მხატვრული შემოქმედების სახეობას, რომელსაც საფუძვლად უდევს ფოტოგრაფიის გამომსახველობითი საშუალებების გამოყენება, რაც საშუალებას მისცემს დასაქმდეს აღნიშნული მიმართულებით.
პროგრამით გათვალისწინებულ დროში სრულყოფილად შესაძლებელია პროგრამით გათვალის-წინებული სწავლის შედეგების მიღწევა. პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლების ფორმას, თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის სწავლება მოხდება დაწესებულებაში არსებულ შესაბამის სასწავლო გარემოში (2 გარემო), რომელიც აღჭურვილია პროგრამის სწავლებისთვის ყველა საჭირო მატერიალური რესურსით. განმახორციელებელთან გასაუბრების დროს დგინდება, რომ მსმენელები სწავლების პროცესში გაივლიან პრაქტიკას სხვადასხვა ლოკაციებზე, მაგ: ღონისძიებებზე, ბუნებაში და სხვა).
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით. პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება ერთი განმახორციელებელი პირი. განმახორციელებელი პირის ცოდნა, უნარები და კვალიფიკაცია დადასტურებულია შესაბამისი განათლების, კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციით, ასევე ვიზიტის დროს მასთან გასაუბრებით. სასწავლო რესურსები ფარავს პროგრამის ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე.
რაც შეეხება მესამე სტანდარტს, ანალოგიურად შეფასდა, ვინაიდან აღნიშნული პროგრამაც წარმოდგენილი იქნა ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის მიერ.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილ იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ცენტრის წარმომადგენელს ამომწურავი პრეზენტაციისთვის და მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რა ეტაპზეა და აპირებს თუ არა მეორე განმახორციელებელი პირის დამატებას, რომელიც მიზანშეწონილია სასწავლო პროცესის დაწყებამდე დაემატოს პროგრამის მდგრადობისთვის. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებისთვის მისაღებია გაცემული რეკომენდაცია და უახლოეს პერიოდში დაამატებდა მეორე განმახორციელებელ პირს და შესაბამის დოკუმენტაციას წარმოადგენს ცენტრში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს, რომელიც მოგვიანებით შემოუერთდა საბჭოს სხდომას, და მიმართა მოკლედ შეეჯამებინა საკითხი ან კომენტარი გაეკეთებინა, რაზეც დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს გაეცნო პროგრამის განმახორციელებელს, დაათვალიერა პროგრამისთვის საჭირო მატერიალური რესურსი, ასევე, პროგრამის სწავლებისთვის განსაზღვრული სასწავლო აუდიტორიები, შეისწავლა პროგრამა და ადასტურებს რომ სტანდარტები არ არის დარღვეული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის „ფოტოგრაფია“ /01921/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლას (ს/კ: 445391736) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - საქმისმწარმოებელი /01920/ **(დანართი 3)**.
საბჭოს სხდომას 15:08 საათზე შემოუერთდა საბჭოს წევრი ნინო ველთაური.

4. სსიპ კოლეჯ ქართლის „ხე-ტყის დამზადება და ტყის დაცვის სამუშაოები“ /01928/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ნათია გიგაშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 16 აპრილის №432471 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა, ნათია გიგაშვილმა განახორციელეს ვიზიტი სსიპ კოლეჯ ქართლში (შემდგომში - კოლეჯი) მის: ხაშურის მუნიციპალიტეტი, დაბა სურამი, ახალი ბანას ქ. №15. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ხე-ტყის დამზადება და ტყის დაცვის სამუშაოები“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, რეკომენდაციები არ გაცემულა.
დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი.
წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მე-4; პროგრამის ხანგრძლივობა - 12 კვირა; სწავლების ენა - ქართული; მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15; პროგრამის განხორციელების ადგილი - ხაშურის მუნიციპალიტეტი, დაბა სურამი, ახალი ბანას ქუჩა №15.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ კოლეჯმა წარმოადგინა დოკუმენტი „პროფესიული მომზადების პროგრამა ხე-ტყის დამზადება და ტყის დაცვის სამუშაოები'' პროგრამის განხორციელების საჭიროების დასაბუთება", სადაც წარმოდგენილია კოლეჯის მიერ ჩატარებული კვლევის ანგარიშები.
ტყე საქართველოში წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ბუნებრივ რესურსს, რომელსაც ქვეყნის ტერიტორიის 40% უკავია, მათ შორის, ხაშურის მუნიციპალიტეტის ტყის ფართობი შეადგენს 20 000 ჰექტარს. ტყის რესურსის უწყვეტი, თანაბარი, ულევი გამოყენების უზრუნველსაყოფად საჭიროა ტყეების მოვლა-პატრონობის და დაცვის ერთიანი სწორი და მდგრადი სტრატეგიის არსებობა, რომლის იმპლემენტაციისას კვალიფიციური საკადრო რესურსის როლი ყველაზე მნიშვნელოვანია.
კოლეჯის ადმინისტრაცია, სასწავლო პროგრამების შემუშავებამდე, გაცნობით ფორმატში შეხვდა მუნიციპალიტეტის და რეგიონის სახელმწიფო სერვისების მიმწოდებელ სახელმწიფო სტრუქტურებისა და კერძო სექტორში მოქმედ აქტიური ეკონომიკური სუბიექტების წარმომადგენლებს. მათ შორის, ხაშურის მუნიციპალიტეტში მდებარე ეროვნული სატყეო სააგენტოს შიდა ქართლის სატყეო სამსახურს. აღნიშნულ შეხვედრაზე, სატყეო სამსახურის მხრიდან დაფიქსირდა კვალიფიციური სპეციალისტების დეფიციტი რეგიონში და განხილულ იქნა კოლეჯის პერსპექტივები კადრების მომზადება-გადამზადებისათვის.
წარმოდგენილი პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროგრამაზე აპლიკანტთა დაშვების წინაპირობებია - სრული ზოგადი განათლება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.
პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით, პროგრამა ითვალისწინებს 10 სწავლის შედეგის მიღწევას.
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია, პროგრამის ხანგრძლივობა 12 კვირაა, პროგრამის საათების სრული რაოდენობა შეადგენს 166 საკონტაქტო საათს. ყოველკვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა 10-16 საათია. პროგრამა მოიცავ თეორიულ და პრაქტიკული სწავლების კომპონენტს. თეორიული ნაწილი განხორციელდება - კოლეჯის სასწავლო აუდიტორიაში, A - სასწავლო გარემოში, ხოლო პრაქტიკული ნაწილი - პარტნიორ ორგანიზაციაში (საქართველოს ეროვნული სატყეო სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონალური სამსახური), შრომის უსაფრთხოების თანამედროვე რეგულაციების გათვალისწინებით.
სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.
პროგრამის განხორციელებისას გამოიყენება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება და ორიენტირებულია პროფესიული პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის. პროგრამის თეორიული ნაწილი განხორციელდება კოლეჯის A სასწავლო გარემოში, ხოლო პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება პარტნიორ ორგანიზაციაში სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოში, რომელიც მდებარეობს ხაშურში.
კოლეჯმა წარმოადგინა პარტნიორ ორგანიზაცია ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან გაფორმებული ურთიერთშეთანხმების ხელშეკრულება, რომლის პირობების თანახმად სააგენტო უზრუნველყოფს 15 მსმენელის სწავლებას შესაბამისი მატერიალური რესურსის და

შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირის/პირების ჩართულობით პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პროცესში.
ვიზიტის დროს კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, სააგენტო განხილულია, როგორც პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის/სწავლების განხორციელების ობიექტი და კოლეჯის კურსდამთავრებულთა პრიორიტეტული, პოტენციური დამსაქმებელი.
ვიზიტის დროს მოხდა სააგენტოს დათვალიერება და გასაუბრება წარმომადგენელთან, რომელმაც დაადასტურა, რომ პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას 15 მსმენელზე უზრუნველყოფს ადამიანური და მატერიალური რესურსით.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსით. პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 2 განმახორციელებელი პირი, რომელთა კვალიფიკაცია დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით. სასწავლო რესურსები ფარავს პროგრამის ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე.
სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით.
რაც შეეხება მესამე სტანდარტს, მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია. პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს ამომწურავი პრეზენტაციის წარდგენისთვის, მან აღნიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი და აქტუალურია წარმოდგენილი პროგრამა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და სასარგებლოა მსმენელებისთვის ის ფაქტი, რომ სატყეო სააგენტოში გაივლიან პრაქტიკული კომპონენტის სწავლებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯი ქართლის „ხე-ტყის დამზადება და ტყის დაცვის სამუშაოები“ /01928/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ ქართლს (ს/კ: 243919033) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - „ხე-ტყის დამზადება და ტყის დაცვის სამუშაოები“ /01928/ **(დანართი 4)**.

15:40 წუთზე საბჭოს სხდომა დატოვეს საბჭოს წევრებმა მარიამ ქუჩულორიამ და მარიამ ნოზაძემ.

5. სსიპ კოლეჯ ქართლის „სანტექნიკური სამუშაოები“ /01907/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ირმა ღარიბაშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 5 აპრილის №397776 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა ირმა ღარიბაშვილმა განახორციელეს ვიზიტი სსიპ კოლეჯ ქართლში (შემდგომში - კოლეჯი) მის: ხაშურის მუნიციპალიტეტი, დაბა სურამი, ახალი ბანას ქ. №15. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის „სანტექნიკური სამუშაოები“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, რეკომენდაციები არ გაცემულა.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამის სახეა მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მე-3, პროგრამის ხანგრძლივობა 11 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15, პროგრამის განხორციელების ადგილი - ხაშურის მუნიციპალიტეტი, დაბა სურამი, ახალი ბანას ქ. №15.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ კოლეჯ ქართლის ადმინისტრაციის მიერ 2022 წელს განხორციელდა ადგილობრივი შრომის ბაზრის საჭიროებების კვლევა. აღნიშნულმა კვლევამ უზრუნველყო ადგილობრივი ბაზრისათვის საჭირო კომპეტენციების, პრიორიტეტული პროფესიული პროგრამების საჭიროებებისა და ადამიანური კაპიტალის ფორმირებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვება. ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევის ფარგლებში, გამოიკითხნენ ხაშურის მუნიციპალიტეტში ოპერირებადი ეკონომიკური სუბიექტების ხელმძღვანელები. პრიორიტეტულად მოთხოვნადი პროფესიების იდენტიფიცირების მიზნით, კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლები შეხვდნენ სხვა დაინტერესებულ მხარეებსაც: ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურების - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებს. საქმიანი შეხვედრების ფარგლებში, მიღებულ იქნა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მუნიციპალიტეტში დაგეგმილი მიმდინარე თუ სამომავლო მასშტაბური სტრატეგიული პროექტების გათვალისწინებით, დეფიციტურია და საჭიროა

კვალიფიციური სანტექნიკოსები. მიმდინარე პროექტებიდან აღსანიშნავია მასშტაბური 5 წლიანი “წყლის პროექტი”, რომელიც 2023 წლიდან დაიწყო მუნიციპალიტეტში და რომლის ფარგლებში აშენდება სრულად ახალი წყალმომარაგების ქსელი, მათ შორის - მაგისტრალური გამანაწილებელი ქსელები, სატუმბი სადგურები და გამწმენდი ნაგებობები.
წარმოდგენილი პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროგრამაზე აპლიკანტთა დაშვების წინაპირობაა - საბაზო განათლება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება. პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით, პროგრამა ითვალისწინებს 9 სწავლის შედეგის მიღწევას.
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია, პროგრამის ხანგრძლივობა 11 კვირაა, სწავლება განხორციელდება კოლეჯის A, C სასწავლო გარემოში. ყოველი სწავლის შედეგის დასრულებისას გათვალისწინებულია განმსაზღვრელი შეფასება. სწავლება განხორციელდება კოლეჯის A, C სასწავლო გარემოში.
სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ერთი განმახორციელებელი პირი, გასაუბრების დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ წინარე ხელშეკრულება გაფორმებულია მეორე განმახორციელებელ პირთან და წარმოადგინეს დოკუმენტაცია. კოლეჯს მიეცა ზეპირი რეკომენდაცია, პროგრამის მდგრადობისთვის პროფესიული მომზადების პროგრამაში ასახოს ელ. სისტემაში ინფორმაცია მეორე განმახორციელებელი პირის შესახებ.
კოლეჯის მიერ მსმენელთა მოთხოვნილი რაოდენობაა-15. აღნიშნული რაოდენობის მსმენელთათვის ხარისხიანი სწავლების უზრუნველყოფას ძირითადად განაპირობებს კოლეჯში არსებული ინფრასტრუქტურული და მატერიალური რესურსები, მსმენელზე მორგებული აუდიტორიები.
პროფესიული მომზადების პროგრამისთვის გამოყოფილია A სასწავლო გარემო, სადაც განთავსებულია ერთდროულად 15 მსმენელისთვის შესაბამისი მატერიალური რესურსი.
ვიზიტის დროს გადამოწმდა აუდიტორიაში არსებული მატერიალური რესურსი და დადასტურდა, რომ გარემო და რესურსები სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო რესურსები ფარავს პროგრამის ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე.
რაც შეეხება მესამე სტანდარტს, მესამე სტანდარტი დაკმაყოფილებულია. პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს პროგრამის წარდგენისთვის და მიმართა დაწესებულებას მეორე განმახორცილებელი პირის პროგრამის დოკუმენტში დამატების შესახებ, და დასძინა, რომ უახლოეს პერიოდში წარმოედგინა ცენტრში დოკუმენტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯი ქართლის „სანტექნიკური სამუშაოები“ /01907/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ ქართლს (ს/კ: 243919033) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - „სანტექნიკური სამუშაოები“ /01907/ **(დანართი 5)**.

6. სსიპ კოლეჯ ქართლის „საავტომობილო შიდაწვის ძრავების კვების სისტემის სერვისი“ /01875/- პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ვალერი ჯაჯანიძემ, მან განაცხადა, რომ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2024 წლის 24 აპრილის №451210 ოქმის, სსიპ კოლეჯ ქართლის ,,ძრავის მექანიზმებისა და საწვავით კვების სისტემის სერვისი“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ“ საბჭოს 2024 წლის 24 აპრილის №463369 გადაწყვეტილების საფუძველზე, სსიპ კოლეჯ ქართლმა 2024 წლის პირველ მაისს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) ელექტრონული სისტემით (qms.eqe.ge) წარმოადგინა განახლებული პროფესიული მომზადების პროგრამის „საავტომობილო შიდაწვის ძრავების კვების სისტემის სერვისი'' განაცხადი ID 01875. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის

2024 წლის 02 მაისის № 502469 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა, ვალერი ჯაჯანიძემ შეისწავლეს სსიპ კოლეჯ ქართლის მიერ წარმოდგენილი განახლებული პროფესიული მომზადების პროგრამის „საავტომობილო შიდაწვის ძრავების კვების სისტემის სერვისი'' პირველი სტანდარტი.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამის სახეა მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მე-3, პროგრამის ხანგრძლივობა 13 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15, პროგრამის განხორციელების ადგილი - ხაშურის მუნიციპალიტეტი, დაბა სურამი, ახალი ბანას ქ. №15.

დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ წინა ვიზიტის დროს გამოვლინდა ხარვეზი 1.2 ქვესტანდარტთან მიმართებაში.

1.2 ქვესტანდარტი - პროფესიული მომზადების პროგრამის სახელწოდება ,,ძრავის მექანიზმებისა და საწვავით კვების სისტემის სერვისი" არ შეესაბამება პროგრამის შინაარსს, არის დამაბნეველი და შეცდომაში შემყვანი. შესაბამისად პროგრამის დასახელება შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის შედეგებსა და პროგრამის შინაარსთან".

დაწესებულებამ გამოასწორა აღნიშნული ხარვეზი, პროგრამის სწავლის შედეგების, პროგრამის მიზნის და თემატიკების კორექტირების შედეგად წარმოადგინა პროფესიული მომზადების პროგრამა, რომლის სახელწოდებად განსაზღვრულია „საავტომობილო შიდაწვის ძრავების კვების სისტემის სერვისი''.

ასევე წინა ვიზიტის დროს გაცემული იქნა რეკომენდაცია 1.3, 1.6 ქვესტანდარტთან მიმართებაში

1.3 ქვესტანდარტთან მიმართებაში წინა დასკვნაში გაცემული იყო შემდეგი სახის რეკომენდაცია: "მნიშვნელოვანია შევნიშნოთ, რომ პროგრამის სწავლის შედეგებით განსაზღვრული უნარებისა და ცოდნის მქონე კურსდამთავრებული ვერ შეძლებს პროგრამით განსაზღვრული უპირველესი მიზნის - მსუბუქი ავტომობილის ძრავის შემკეთებლის სპეციალისტების მომზადებას, რამდენადაც პროგრამა ითვალისწინებს შიგაწვის ძრავას მექანიზმებსა და მხოლოდ კვების სისტემის სერვისის ოპერაციების თეორიულ და პრაქტიკულ შესწავლას. შესაბამისად მიზანშეწონილია პროგრამის სწავლის შედეგების და თემატიკების გადამუშავებისა და კორექტირების შემდეგ პროგრამის მიზანი უფრო მეტად დაკონკრეტდეს და შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის შედეგებთან".

კოლეჯმა გაითვალისწინა გაცემული რეკომენდაცია და წარმოდგენილ პროგრამაში მიზანი ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქციით: პროფესიული მომზადების პროგრამა - „საავტომობილო შიდაწვის ძრავების კვების სისტემის სერვისი" მიზნად ისახავს სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც შეძლებენ სხვადასხვა შიდაწვის ძრავების კლასიფიკაციას, ძრავის მექანიზმების დიაგნოსტირებას, მათ ნაწილებად დაშლა-აწყობასა და გამოვლენილი უწესივრობის აღმოფხვრას, ძრავის კვების სისტემის შესაძლო უწესივრობების გამოვლენას, ძრავის კვების სისტემის სარემონტო სამუშაოების შესრულებას და რემონტის შემდგომ დიაგნოსტიკას.

1.6 ქვესტანდარტთან მიმართებაში წინა დასკვნაში გაცემული იყო შემდეგი სახის რეკომენდაცია: „დასახვეწი და გადასამუშავებელია პროგრამით განსაზღვრული ზოგიერთი სწავლის შედეგი; კვირის სასწავლო თემატიკებში ზოგიერთი საკითხები არის დასაკორექტირებელი და ფორმულირება შესაბამისობაში მოსაყვანი სწავლის შედეგებთან მიმართებაში".

კოლეჯმა გამოასწორა ხარვეზი და პროგრამის 6 სწავლის შედეგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით: შიდაწვის ძრავების კლასიფიკაცია; ძრავის მექანიზმების დიაგნოსტირება, ნაწილებად დაშლა და აწყობა; გამოვლენილი უწესივრობის აღმოფხვრა და შემდგომ დიაგნოსტირება; ძრავის შესაძლო უწესივრობების გამოვლენა; ძრავის კვების სისტემის სარემონტო სამუშაოების შესრულება; რემონტის შემდგომ დიაგნოსტიკა. ამდენად, სწავლის შედეგები დაკორექტირებულია და შესაბამისობაშია სასწავლო თემატიკასთან და პროგრამის შინაარსთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს პრეზენტაციის წარდგენისთვის და დასძინა, რომ წარმოდგენილ პროფესიული მომზადების პროგრამაში „საავტომობილო შიდაწვის ძრავების კვების სისტემის სერვისი“ ხარვეზი აღმოფხვრილია და რეკომენდაციები გათვალისწინებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯი ქართლის „საავტომობილო შიდაწვის ძრავების კვების სისტემის სერვისი“ /01875/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ ქართლს (ს/კ: 243919033) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - „საავტომობილო შიდაწვის ძრავების კვების სისტემის სერვისი“ /01875/ **(დანართი 6)**
.

7. სსიპ კოლეჯ ქართლის „კომპიუტერის ქსელური და პროგრამული მხარდაჭერა“ /01876/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ

მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა სალომე ქუთათელაძემ, მან განაცხადა, რომ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2024 წლის 24 აპრილის №451210 ოქმის, სსიპ კოლეჯ ქართლის „კომპიუტერის ქსელური და პროგრამული მხარდაჭერა“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ“ საბჭოს 2024 წლის 24 აპრილის №463367 გადაწყვეტილების საფუძველზე, სსიპ კოლეჯ ქართლმა 2024 წლის პირველ მაისს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ელექტრონული სისტემით (qms.eqe.ge) წარმოადგინა განახლებული პროფესიული მომზადების პროგრამის კომპიუტერის ქსელური და პროგრამული მხარდაჭერა'' განაცხადი ID 01876. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 02 მაისის №502465 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა, ალექსანდრე კეკენაძემ შეისწავლეს სსიპ კოლეჯ ქართლის მიერ წარმოდგენილი პროფესიული მომზადების განახლებული პროგრამის „კომპიუტერის ქსელური და პროგრამული მხარდაჭერა“ პირველი სტანდარტი.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამის სახეა მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მე-4, პროგრამის ხანგრძლივობა 18 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15, პროგრამის განხორციელების ადგილი - ხაშურის მუნიციპალიტეტი, დაბა სურამი, ახალი ბანას ქ. №15.

წინა ვიზიტის დროს გაიცა რეკომენდაცია 1.3, 1.6 ქვესტანდარტთან მიმართებაში

1.3 ქვესტანდარტთან მიმართებაში წინა დასკვნაში გაცემული იყო შემდეგი სახის რეკომენდაცია:

„პროგრამის მიზანში არ ჩანს კომპიუტერული ქსელის საკითხები, რომელიც არის გათვალისწინებული სახელწოდებაშიც და მისაღწევ სწავლის შედეგებშიც, ამიტომ მიზანშეწონილია, კომპიუტერული ქსელის საკითხების შესახებ ინფორმაცია მიზანშიც იყოს გათვალისწინებული“.

კოლეჯმა გაითვალისწინა გაცემული რეკომენდაცია და წარმოდგენილ პროგრამაში მიზანი ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქციით: „პროფესიული მომზადების პროგრამა - “კომპიუტერის ქსელური და პროგრამული მხარდაჭერა“ მიზნად ისახავს სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც შეძლებენ პერსონალური კომპიუტერული ტექნიკის შემადგენელი ნაწილების იდენტიფიცირებას, Windows ოპერაციული სისტემისა და გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაციასა და გამართვას, Linux ოპერაციული სისტემას, ქსელების ფუნდამენტური პრინციპების და ტიპების გარჩევას, ქსელში ინფორმაციის მიმოცვლის მოდელების (TCP/IP, OSI) შრეების და ამ შრეებზე მომუშავე პორტებისა და ოქმების ფუნქციების გარჩევას, ქსელური ტექნოლოგიებისა და ქსელის ორგანიზების ძირითადი პრინციპების გარჩევას, მარტივი სადენიანი და უსადენო შიდა ქსელის გამართვას.

1.6 ქვესტანდარტთან მიმართებაში წინა დასკვნაში გაცემული იყო შემდეგი სახის რეკომენდაცია:

„სასწავლო კვირის თემატიკებში ზოგიერთი საკითხები არის დასაკორექტირებელი და შესაბამისობაში მოსაყვანი სწავლის შედეგებთან მიმართებაში, ასევე დასაზუსტებელია თემატიკაში გამოყენებული ტერმინოლოგია“.

კოლეჯმა გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია და პროგრამის 15 სწავლის შედეგები ჩამოაყალიბა შემდეგი სახით: პროფესიული მოვალეობებისა და დასაქმების შესაძლებლობების აღწერა; პერსონალური კომპიუტერული ტექნიკის შემადგენელი ნაწილების იდენტიფიცირება; Windows ოპერაციული სისტემის ინსტალაცია; Windows ოპერაციული სისტემის გამართვა; გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია; Linux-ის ინსტალაცია; Linux ოპერაციული სისტემის დისტრიბუტივებთან და ღია კოდის მქონე პროგრამებთან მუშაობა;

Linux ოპერაციული სისტემის ბრძანებათა სტრიქონში მუშაობა; Linux ოპერციული სისტემაში ქსელის პარამეტრების ბაზისური გამართვა; ქსელების ფუნდამენტური პრინციპების და ტიპების გარჩევა; ქსელში ინფორმაციის მიმოცვლის მოდელების (TCP/IP,OSI) შრეების და ამ შრეებზე მომუშავე პორტების და ოქმების ფუნქციების გარჩევა; ქსელური ტექნოლოგიებისა და ქსელის ორგანიზების ძირითადი პრინციპების გარჩევა; მარტივი სადენიანი და უსადენო შიდა ქსელის გამართვა; პროფესიული ამოცანის დამოუკიდებლად დაგეგმვა; შესრულებული ამოცანების ანგარიშგება.
მე-2 სტანდარტის 2.3 ქვესტანდარტთან მიმართებაში გაცემული რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა სასწავლო რესურსის დამატებას პროფესიული მომზადების პროგრამის დოკუმენტის შესაბამის ველში, გათვალისწინებულია და დამატებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ცენტრის წარმომადგენელს პრეზენტაციის წარდგენისთვის და დასძინა, რომ პროფესიული მომზადების პროგრამაში „კომპიუტერის ქსელური და პროგრამული მხარდაჭერა“ ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაციები გათვალისწინებულია და შესაბამისობაშია სტანდარტებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯი ქართლის „კომპიუტერის ქსელური და პროგრამული მხარდაჭერა“ /01876/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ ქართლს (ს/კ: 243919033) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - „კომპიუტერის ქსელური და პროგრამული მხარდაჭერა“ /01876/ **(დანართი 7)**.

8. სსიპ კოლეჯ ქართლის „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები და კომპიუტერული პროგრამა Oris“ /01877/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა მაია ხურცილავამ. მან განაცხადა, რომ სსიპ კოლეჯ ქართლის პროფესიული მომზადების პროგრამას ,,ბუღალტრული აღრიცხვა და კომპიუტერული პროგრამა Oris“ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელ საბჭოს სხდომაზე 2024 წლის 4 აპრილს განესაზრვრა ერთთვიანი ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად (ოქმი №461210, გადაწყვეტილება N463370). კოლეჯმა ხარვეზი გამოასწორა და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 2 მაისის №502180 ბრძანების საფუძველზე წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები და კომპიუტერული პროგრამა Oris“ დაევალა ექსპერტს შეესწავლა პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსწორების განაცხადი.

დარგის ექსპერტმა შეისწავლა განაცხადი და დაადგინა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა წინა წარმოების ფარგლებში ექსპერტისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს მიერ დაწესებულებისთვის მიცემული რეკომენდაციები, კერძოდ: პროგრამის მიზანი ჩამოყალიბდა უფრო მკაფიოდ და შესაბამისობაში მოვიდა პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან; სასწავლო რესურსს დაემატა საჭირო საკანონმდებლო აქტები, ასევე IFRS - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები; ასევე დაკორექტირდა პროგრამის სახელწოდება.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს პრეზენტაციის წარდგენისთვის და აღნიშნა, რომ წარმოდგენილ პროფესიული მომზადების პროგრამაში ,,ბუღალტრული აღრიცხვა და კომპიუტერული პროგრამა Oris“ რეკომენდაციები გათვალისწინებულია და ამდენად პროგრამა შესაბამისობაშია სტანდარტებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯი ქართლის „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები და კომპიუტერული პროგრამა Oris“ /01877/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ ქართლს (ს/კ: 243919033) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები და კომპიუტერული პროგრამა Oris“ /01877/ **(დანართი 8)**.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა: 16:05 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა

დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01920	საქმისმწარმოებელი	გადამზადება	მეოთხე	16	ქართული	15	ქ. ბათუმი, გალაქტიონ ტაბიძის ქ. №11

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01922	ქართული ეროვნული სამოსი და მისი სასცენო გადაწყვეტა	გადამზადება	მეოთხე	25	ქართული	10	ქ. ბათუმი, გალაქტიონ ტაბიძის ქ. №11

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01921	ფოტოგრაფია	მომზადება	მეოთხე	16	ქართული	10	ქ. ბათუმი, გალაქტიონ ტაბიძის ქ. №11

დანართი 4

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01928	ხე-ტყის დამზადება და ტყის დაცვის სამუშაოები	მომზადება	მეოთხე	12	ქართული	15	ხაშურის მუნიციპალიტეტი, დაბა სურამი, ახალი ბანას ქ. №15

დანართი 5

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01907	სანტექნიკური სამუშაოები	მომზადება	მესამე	11	ქართული	15	ხაშურის მუნიციპალიტეტი, დაბა სურამი, ახალი ბანას ქ. №15

დანართი 6

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01875	საავტომობილო შიდაწვის ძრავების კვების სისტემის სერვისი	მომზადება	მესამე	13	ქართული	15	ხაშურის მუნიციპალიტეტი, დაბა სურამი, ახალი ბანას ქ. №15

დანართი 7

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01876	კომპიუტერის ქსელური და პროგრამული მხარდაჭერა	მომზადება	მეოთხე	18	ქართული	15	ხაშურის მუნიციპალიტეტი, დაბა სურამი, ახალი ბანას ქ. №15

დანართი 8

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01877	ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები და კომპიუტერული პროგრამა Oris	მომზადება	მეოთხე	19	ქართული	15	ხაშურის მუნიციპალიტეტი, დაბა სურამი, ახალი ბანას ქ. №15